პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

პაციენტებზე ზრუნვა კონფიდენციალურობის დაცვით იწყება

ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები

სამედიცინო დაწესებულებები და პერსონალი, მათი საქმიანობის ფარგლებში, პაციენტის შესახებ არაერთ პერსონალურ ინფორმაციას ამუშავებენ. მათ შორის კი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას.

ჯანმრთელობის შესახებ პერსონალური მონაცემებია

პაციენტის ფიზიკურ ან ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან, სამედიცინო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული მონაცემები, პირის ამჟამინდელი ან წარსულში არსებულ ჯანმრთელობის მდგომარეობა

მათ შორის:

- დიაგნოზი;
- ლაბ. კვლევის შედეგები;
- სამედიცინო მომსახურების ხარჯების შესახებ ინფორმაცია და სხვა
- ბიოლოგიური და გენეტიკური მონაცემები;
- ექიმთან ვიზიტის, ჯანმრთელობის ამჟამინდელი მდგომარეობის, წარსულში გადატანილი დაავადებების შესახებ ინფორმაცია;

ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია

განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემს წარმოადგენს **და დაცულია როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის, ასევე სამედიცინო საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით.**

ჯანმრთელობის შესახებ პერსონალური მონაცემები

ხშირ შემთხვევებში შეიცავს მეტად ინტიმურ დეტალებს პაციენტის პირადი ცხოვრების, მისი ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობის შესახებ და მათი უკანონო გამჟღავნება შესაძლოა პირის ღირსების შელახვის, სტიგმატიზაციის, ან დისკიმინაციის საფუძველი გახდეს.

მნიშვნელოვანია, ჩამოყალიბდეს დაბალანსებული მიდგომა, ერთი მხრივ, ადამიანის პირადი ცხოვრების პატივისცემისდა მისი პერსონალური მონაცემების დაცვის, ხოლო მეორე მხრივ ჯანდაცვის სისტემის გამართული ფუნქციონირების ხელშესაწყობად.

არასაკმარისი ნდობის პირობებში,

შესაძლოა პაციენტებმა თავი შეიკავონ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებისგან და ხელი შეუშალონ, მაგალითად, სწორი დიაგნოზის დადგენას, ან შესაბამისი მკურნალობის დანიშვნას. **აღნიშნული კი ნეგატიურ გავლენას ახდენს** როგორც პაციენტის ჯანმრთელობაზე, ისე ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირებასა და ეფექტიანობაზე.

ამიტომ, პერსონალური მონაცემების დაცვა მხოლოდ პაციენტის ინტერესს არ წარმოადგენს, ადამიანის პირადი ცხოვრების პატივისცემა ჯანდაცვის სისტემისთვისაც არის მნიშვნელოვანი!

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, ისევე როგორც ჯანდაცვის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა, საჯარო და კერძო ორგანიზაციებს **ავალდებულებს მკაცრად დაიცვან ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა**, მონაცემების დამუშავება უზრუნველყონ შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლით, კანონით განსაზღვრული პრინციპებისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

პაციენტთა პერსონალური მონაცემების დამუშავებისას გასათვალისწინებელია, რომ...

- ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემის დამუშავება მოხდეს პაციენტის ღირსების შეულახავად და უფლებათა დაცვით;
- მონაცემთა დამუშავების საწყის ეტაპზევე გატარდეს უსაფრთოხების სათანადო ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებები;
- დაცული იყოს პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპები, განსაკუთრებით კი მონაცემთა მინიმიზაციისა და შენახვის ვადის შეზღუდვის პრინციპი;
- **სათანადოდ აღირიცხოს** ელექტრონულ სისტემებში მონაცემების მიმართ განხორციელებული ყველა ქმედება ;
- დაცული იყოს მონაცემთა უსაფრთხოება, პერსონალური ინფორმაციის შემთხვევით და უკანონო გამჟღავნების არიდების მიზნით;
- მონაცემების გადაცემა მესამე პირისთვის უნდა მოხდეს უშუალოდ პაციენტის თანხმობით, მაშინაც კი თუ მესამე პირი ოჯახის წევრია.
- მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიებით განხორციელდეს
- პაციენტის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის საკითხი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დაწესებულების სივრცის მოწყობის ეტაპზევე.
- გაუმართლებელია პირის ვინაობისა და მისი ექიმთან დანიშნული ვიზიტის შესახებ ინფორმაციის მოსაცდელ სივრცეში განთავსება და მისი ხელმისაწვდომობა სხვა ვიზიტორებისთვის.
- ჯანდაცვის პერსონალმა პაციენტისგან მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა უნდა დაიცვას პაციენტთან გასაუბრების პროცესშიც. სამედიცინო მომსახურების გაწევისას ჯანდაცვის პერსონალმა არ უნდა დაუშვას სხვა პირთა დასწრება. გამონაკლისს წარმოადგენს უშუალოდ პაციენტის მოთხოვნა სხვა პირის დასწრების თაობაზე.
- ჯანდაცვის პერსონალი უფლებამოსილია მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი დაასწროს არასრულწლოვნის სამედიცინო შემოწმების, მასთან გასაუბრების პროცესს და გააცნოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის შესახებ.
- მედიასთან ურთიერთობისას, გასათვალისწინებელია რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისას კანონი სრულად ვრცელდება ჯანდაცვის პერსონალზე. მაგალითად, თუკი ჯანდაცვის პერსონალი მედიას მიაწვდის პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამედიცინო მომსახურების გაწევისას, მასზე გავრცელდება კანონის მოქმედება.

პაციენტს აქვს უფლება:

მოითხოვოს მისი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე, გაეცნოს საკუთარ სამედიცინო ჩანაწერებსა და ავადმყოფობის ისტორიას.

მოითხოვოს მისი ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების გასწორება, განახლება, შეცვლა, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება იმ შემთხვევაში, თუ მისი მონაცემები არის არასრული, არაზუსტი, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის მოთხოვნის დარღვევით

კანონის მიხედვით სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია დაწესებულებას ჰყავდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთა როლი და ფუნქციები.

მათ შორის ის, რომ სწორედ ოფიცერმა უნდა გაუწიოს სამედიცინო პერსონალს კონსულტაციები მონაცემთა დაცვის მნიშვნელობის შესახებ.

პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

საქართველოში პერსონალურ მონაცემთა
დამუშავების კანონიერების კონტროლს
პერსონალურ მონაცემთა დაცვისსამსახური
ახორციელებს.

WWW.PDPS.GE